სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

59552785746217

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

# რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N171489871

რეგისტრაციის თარიღი

25.12.2017 წ

ნოტარიუსი: ქეთევან ოდილავაძე
მისამართი: თბილისი ჟ. შარტავას ქ 14ა
ტელეფონი: 599514451

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

# მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით მე, **ნურიდდინ შადმანოვ** (უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე; პასპორტის ნომერი: AA0056396) მოქმედი, როგორც **შპს „გრანატ ინვესთმენთ“**-ის (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად; საიდენტიფიკაციო ნომერი: 404510560) დირექტორი („მარწმუნებელი“) უფლებამოსილებას ვანიჭებ:

**ირაკლი შარაშიძეს** (საქართველოს მოქალაქე; პირადი ნომერი: 01009004220) („რწმუნებული“)

რათა მან მარწმუნებლის, როგორც შპს „გრანატ ინვესთმენთ“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404510560) („კომპანია“) დირექტორის სახელით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

1. რწმუნებული უფლებამოსილია, შეუზღუდავად წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები საქართველოს ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს წინაშე, მათ შორის: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ზედამხედველობის სამსახური, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, კეთილმოწყობის სამსახური, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კულტურის სამსახური, ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო („საჯარო რეესტრი“) და აწარმოოს მოლაპარაკებები ზემოხსენებულ ორგანოებთან კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: 01.14.10.001.094; მისამართი: ქალაქი თბილისი, გამზირი ჭავჭავაძე, N 78 / ქალაქი თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N78-ის მიმდებარედ; დაზუსტებული ფართობი: 1922.00 კვ.მ) („უძრავი ქონება“) მშენებლობასთან დაკავშირებით, გაუწიოს ზედამხედველობა, წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება გენერალური გეგმით, ესკიზური არქიტექტურული პროექტით, შენობის კონსტრუქციული პროექტით, დაესწროს შეხვედრებს, გააკეთოს/წარადგინოს ნებისმიერი განცხადება/დოკუმენტაცია/ნახაზი/გეგმა/პროექტი მშენებლობის ნებართვის ასაღებად. ხსენებული მიზნებისთვის, რწმუნებული ასევე უფლებამოსილია წამოადგინოს მარწმუნებელი ყაზტრანსგაზის, ყაზტრანსგაზ-თბილისის, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის (GWP), თელასის, კავკასუს ონლაინი, სილქნეტი და სხვ. წინაშე.
2. რწმუნებული ასევე უფლებამოსილია, წარმოადგინოს მარწმუნებელი საქართველოს ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს წინაშე, მათ შორის და არა მხოლოდ: თბილისის მერია, არქიტექტურის სამსახური, სსიპ ქონების მართვის სააგენტო (ქონების მართვის სააგენტო), საჯარო რეესტრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული ვალდებულების მოხსნის მიზნებისთვის. ზემოხსენებულის განსახორციელებლად, რწმუნებული უფლებამოსილია, ზემოაღნიშნულ ორგანოებთან აწარმოოს მოლაპარაკებები, დაესწროს შეხვედრებს, წარადგინოს ნებისმიერი განცხადება და ხელი მოაწეროს მას, გამოითხოვოს და მიიღოს

ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადი და განახორციელოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც აუცილებელი იქნება საჯარო რეესტრში ვალდებულებების გაუქმების რეგისტრაციისთვის.

3. რწმუნებული უფლებამოსილია, წარმოადგინოს მარწმუნებელი ნოტარიუსის ან/და ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს წინაშე, მათ შორის და არა მხოლოდ ქონების მართვის სააგენტოს, საჯარო რეესტრის წინაშე, უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული სერვიტუტის რეგისტრაციის მოხსნის და მისი გაუქმების რეგისტრაციის მიზნით. ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად, რწმუნებული უფლებამოსილია, აწარმოოს მოლაპარაკებები, წარადგინოს და ხელი მოაწეროს ნებისმიერ განცხადებას და გადაიხადოს ნებისმიერი გადასახადი.

რწმუნებული ასევე უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი ქმედება, რაც პირდაპირ არ არის განსაზღვრული წინამდებარე მინდობილობით, მაგრამ შეიძლება აუცილებელი გახდეს წინამდებარე მინდობილობით განსაზღვრული დავალებების შესასრულებლად.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 2017 წლის 25 დეკემბერს და ძალაშია 1 (ერთი) წლის ვადით მისი ხელმოწერის თარიღიდან.

**მარწმუნებელი**

ნურიდდინ შადმანოვ

/----------/

# სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდახუთ დეკემბერს, მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შარტავას ქ.№14ა-ში მომმართა: **ნურიდდინ შადმანოვმა** მოქმედი, როგორც **შპს „გრანატ ინვესთმენთ“**-ის (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად; საიდენტიფიკაციო ნომერი: 404510560) დირექტორმა და მის მიერ არჩეულმა თარჯიმანმა და მის მიერ არჩეულმა თარჯიმანმა მაია ქართველიშვილმა (დაბ.09.04.1967წ., მცხ.ქ.თბილისი, წულუკიძის ჩიხი №2, ბინა 4, პირადი №01011018344) (დიპლომი HB №132947, გაცემული ქ.იჟევსკის სახ.უნივერსიტეტის მიერ 20.06.1990წ.) მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თაგრმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის რუსული, ინგლისური ენები და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. ასევე სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე, მათ შორის თარჯიმანი გაფრთხილებულია თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ.

მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად: **ნურიდდინ შადმანოვმა** (უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე; დაბ.20.05.1972წ., პასპორტის ნომერი: AA0056396) მოქმედი, როგორც **შპს „გრანატ ინვესთმენთ“**-ის (კომპანია რეგისტრირებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად; საიდენტიფიკაციო ნომერი: 404510560) დირექტორმა მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია, შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები: საკუთრების მიმნდობს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან პირადადა წაიკითხა ეს მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

წინამდებარე მინდობილობა ჩემი თხოვნით შეადგინა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, რომელმაც წამიკითხა და განმიმარტა მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქეთევან ოდილავაძესთან, ორი გადაეცა მხარეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე, **მუხლისა** და დღგ. 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის №169-ე მუხლის პირველი ნაწილისა, აგრეთვე გადახდილია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

თარჯიმანი:

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე